# ოქმი N 5

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა

კომისიის სხდომის

ქ. ხობი 2018 წლის 27 მარტი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

1. თეა გელანტია
2. აბელი ქირია
3. გიგა ნასარაია
4. მზია ლემონჯარია
5. ნიკოლოზ ვეკუა
6. შადიმან ჭილაია
7. მერაბ ფილიპია
8. გია წულაია

**სხდომას თავმჯდომარეობდა თ. გელანტია - კომისიის თავმჯდომარე.**

**დღის წესრიგი:**

1. ქ. ხობში ა. წერეთლის N12 მცხოვრები ე. წურწუმიას 2018 წლის 17 იანვრის N48 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის მე-4 მოწვევის საკრებულოს წევრებისთვის ე. წურწუმიას განცხადების გაცნობის თაობაზე)

   (მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რ. სერგიას 2018 წლის 27 თებერვლის N124 და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. გელანტიას 2018 წლის 23 მარტის N36/01 განცხადებების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N77 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

   (მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 9 მარტის N06/1131 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ თორსის ტერიტორიაზე ცენტრალური

საავტომობილო გზიდან სოფლის ადმინისტრაციულ ცენტრამდე არსებული საავტომობილო გზის მონაკვეთზე, ასევე ამავე სოფლში არსებული სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწესრიგების საკითხის საკრებულოს სხდომაზე შესწავლა, განხილვა და გადაწყვეტის შესახებ" და „ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქარიატაში მდინარე ხობის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს რეაბილიტაციის საკითხის საკრებულოს სხდომაზე შესწავლა, განხილვა და გადაწყვეტის შესახებ" პეტიციის წესით წარმოდგენილი განცხადებების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2018 წლის 13 მარტის N09/1166 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

5. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 23 მარტის N03/1384 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

6. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 26 მარტის N05/1439 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

7. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის დ. ბერაიას 2018 წლის 27 მარტის N38/01 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

8. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 27 მარტის N05/1481 წერილის განხილვა („შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა**

1. ხობში ა. წერეთლის N12 მცხოვრები ე. წურწუმიას 2018 წლის 17 იანვრის N48 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის მე-4 მოწვევის საკრებულოს წევრებისთვის ე. წურწუმიას განცხადების გაცნობის თაობაზე)

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: თ. გელანტია** - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ქ. ხობში ა. წერეთლის N12 მცხოვრები ე. წურწუმიას განცხადება (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მოქალაქე ე. წურწუმია ითხოვს მის მიერ წარმოდგენილი განცხადების საკრებულოს წევრებისთვის გაცნობას. გამომსვლელი შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭი ეყარა წინადადებას საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რ. სერგიას 2018 წლის 27 თებერვლის N124 და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. გელანტიას 2018 წლის 23 მარტის N36/01 განცხადებების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N77 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: თ. გელანტია** - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N77 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრი რ. სერგია პირადი განცხადების საფუძველზე გაყვანილ იქნა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან, რის გამოც კომისიის შემადგენლობაში შეტანილ იქნა ცვლილება. გამომსვლელი შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭი ეყარა წინადადებას საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

**სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში**

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 8, წინააღმდეგი-არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე თეა გელანტია